ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ლუმიერის უნივერსიტეტის - ლიონ 2, საფრანგეთი
Lumière University Lyon 2 (France)

„დამტკიცებულია“
თსუ აკადემიური საბჭოს მიერ
ოქმი # .....
დადგენილება # .....
..... 2018წ.

ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი:

ტურიზმი

ლუმიერის უნივერსიტეტი - ლიონ 2:

ტურიზმი, დასვენება, კულტურული მემკვიდრეობა

2018

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ლუმიერის უნივერსიტეტის - ლიონ 2, საფრანგეთი

Lumière University Lyon 2 (France)

ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა

ტურიზმი

<u>მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი</u>

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხრიდან:

ტურიზმის მაგისტრი

ლუმიერის უნივერსიტეტის - ლიონ 2-ს მხრიდან:

მაგისტრი - ტურიზმი, დასვენება, კულტურული მემკვიდრეობა

„შეთანხმებულია“

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

.....

პროგრამის თანახელმძღვანელი

(თსუ-ს მხრიდან)

მხრიდან):

პროფესორი
ტურიზმის კათედრის ხელმძღვანელი
იოსებ ხელაშვილი
.....

„შეთანხმებულია“

თსუ ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის უფროსი
ი.დარჩია

.....

პროგრამის თანახელმძღვანელი

(ლუმიერის უნივერსიტეტის - ლიონ 2-ს

მხრიდან)

პროფესორი

პროფესორი ისაბელ ლეფორტი (Isabelle Lefort)
.....

2018

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. **ძირითადი საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი ..... გვ. 4**

ა/ ძირითადი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება გვ.4

ბ/ მისანიჭებელი კვალიფიკაცია გვ.4

გ/ პროგრამის მოცულობა კრედიტებით გვ.4

დ/ სწავლების ენა გვ.4

ე/ საგანმანათლებლო პროგრამის აქტუალობა გვ.4

ვ/ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი გვ.6
ზ/ პროგრამაზე დაშვების წინაპირობა გვ.7
თ/ სწავლის შედეგი გვ.8
ი/ სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები გვ.13
კ/ სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა გვ.15
ლ/ პროგრამის სასწავლო გეგმა გვ.17
მ/ სამაგისტრო ნაშრომის მახასიათებლები.....გვ.20
ნ/ პროფესიული პრაქტიკა.....გვ.20
ო/ საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების განაწილება.....გვ.21
პ/ სტუდენტთა დატვირთვა.....გვ.22
ჟ/ დასაქმების სფეროები ..... გვ. 22
რ/ სწავლის გაგრძელების საშუალება.....გვ.23
ს/ პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.....გვ.23
ტ/პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი.....გვ.23
ს/ დამატებითი ინფორმაცია გვ.24
ტ/ პროგრამის ანალოგები გვ.24

2. დანართი 1 – საგამოცდო საკითხები გვ.25

3. დანართი 2 – კურსების სილაბუსები .....

სამაგისტრო პროგრამის შინაარსი

ა) სამაგისტრო პროგრამის სახელწოდება : ტურიზმი (Tourism) - ორმაგი დიპლომი

ბ) მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: -

- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - ტურიზმის მაგისტრი (Master in Tourism)

- ლუმიერის უნივერსიტეტი ლიონ 2 (Lumière University Lyon 2) - მაგისტრი - ტურიზმი, დასვენება, კულტურული მემკვიდრეობა (Master in Tourism, Leisure, Cultural Heritage) ("Tourisme, loisirs, patrimoines")

გ) პროგრამის მოცულობა კრედიტებით – 120 ECTS კრედიტი, მათ შორის: პროგრამის სავალდებულო კურსები - 71 კრედიტი, არჩევითი კურსები - 15 კრედიტი, პროფესიული პრაქტიკა - 14 კრედიტი, სამაგისტრო ნაშრომი - 20 კრედიტი.

დ) სწავლების ენა – ქართული ფრანგულენოვანი კომპონენტით

ე) საგანმანათლებლო პროგრამის აქტუალობა

პროგრამის აქტუალობას განაპირობებს საქართველოში ტურიზმის ინდუსტრიის უპრეცედენტო აღმავლობა, რაც ბუნებრივად იწვევს მოთხოვნების ადეკვატურ ზრდას კადრებზე და სპეციალისტებზე. 2006 წლიდან დღემდე საერთაშორისო ვიზიტიორთა რაოდენობა 10-ჯერ გაიზარდა, გადააჭარბა 7.5 მილიონს[1] და დღეისათვის ამ სფეროში უკვე დასაქმებულია 125 ათასამდე ადამიანი[2]. ამასთან, ტურიზმი აღიარებულია ქვეყნის ეკონომიკური შემდგომი ზრდის პრიორიტულ მიმართულებად და შემუშავებულია ამ დარგის პერსპექტიული განვითარების სტრატეგიული გეგმა 2025 წლამდე. მის მისიას წარმოადგენს „მდგრადი ტურიზმის განვითარების უზრუნველყოფა და საერთაშორისო ბაზარზე საქართველოს, როგორც უნიკალური ტურისტული ქვეყნის პოზიციონირება. ტურისტების რაოდენობის ზრდის ხელშეწყობა, რაც პირდაპირ მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე“. ეს გარემოება უზრუნველყოფს მრავალწლიან პერიოდში საკადრო მოთხოვნების სტაბილურ ზრდას, მათ შორის უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტებზე.

დარგის განვითარების სტრატეგიაში პრიორიტეტულ ამოცანად რჩება ტურისტთა მოზიდვა დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან, მათ შორის საფრანგეთიდან. ამ სეგმენტის მაჩვენებლები შორსაა სასურველი დონიდან, როგორც აბსოლუტური, ისე წილობრივი მაჩვენებლებით. კერძოდ, უკანასკნელი 2016 წლის მონაცემებით ფრანგულენოვანი ქვეყნებიდან შემოსულ ტურისტთა რაოდენობა 0,56% არ აღემატებოდა[3]. ამასთან, სულ უფრო მკაფიოდ ვლინდება პოზიტიური და მნიშვნელოვანი ცვლილებების წინაპირობები, რასაც ხელს უწყობს საქართველოში ცნობილი

[1] http://stats.gnta.ge/Default.aspx

[2] https://www.wttc.org/-/media/files/reports/economic-impact-research/countries-2017/georgia2017.pdf)

[3] (https://gnta.ge/ge/სტატისტიკა)

ფრანგული სასტუმრო კომპანიის ACCOR Group-ის, ბრენდების - IBIS Style-ის და Mercure-ის შემოსვლა და უახლოეს პრეიოდში, ამავე ჯგუფის „პულმანის“ სასტუმროს ამოქმედება.

სამუშაო ადგილების რაოდენობრივ მატებასთან ერთად, მათ შორის ფრანგულენოვანი კვალიფიკაციის მოთხოვნებით, კადრების მომზადების აქტუალობას ასევე განაპირობებს ამ სფეროში გამოვლენილი საკადრო მოთხოვნებისა და სპეციალისტების მომზადების მნიშვნელოვანი ხარისხობრივი და სტრუქტურული შეუთავსებლობა. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯერ კიდევ 2015 წელს ჩატარებულმა შრომის ბაზრის კვლევამ, გამოააშკარავა, რომ სხვა დარგებთან ერთად, ტურიზმის სფეროშიც სპეციალისტების არაადეკვატური მომზადება განაპირობებს კადრების მაღალ დენადობას და მნიშვნელოვანწილად უცხოური შრომითი რესურსებით ჩანაცვლებას[4]. ეს კიდევ უფრო ზრდის ადგილობრივი კადრების კვალიფიკაციის ამაღლების, სტუდენტთა ორიენტირებული სწავლების და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადების მნიშვნელობას, რაც ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიაში მოიაზრება[5]. ამ თვალსაზრისით, საფრანგეთის გამოცდილება, რომელსაც გააჩნია ტურისტული ინდუსტრიის განვითარების ყველაზე ხანგრძლივი ისტორია და დღესაც არის მსოფლიოში ყველაზე მეტი უცხოელი ტურისტის მიმღები ქვეყანა, მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენს თავისი სასწავლო პროგრამებით და სწავლების გამოცდილებით.

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გააჩნია ტურიზმის პროფილით კადრების მომზადების მრავალწლიანი ტრადიცია. ბოლო წლებში ამ მიმართულების ძირითად და მთავარ რგოლს წარმოადგენს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის კათედრა. დროის გამოწვევებმა ამ სფეროში შექმნა სასწავლო პროგრამების შემდგომი გაუმჯობესების მნიშვნელოვანი რეზერვები და შესაძლებლობები. ახალი გამოწვევების საპასუხოდ, სასწავლო პროგრამის სრულყოფასთან ერთად, დაგეგმილია უცხოურ სასწავლებლებთან და ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, რაც ხელს შეუწყობს კადრების საერთაშორისო სტანდარტებით მომზადებას, პირველ რიგში, ბოლონიის პროცესის სტანდარტების გათვალისწინებით და დანერგვით. ამ კუთხით აქტუალურ მიმართულებას წარმოადგენს საფრანგეთის უნივერსიტეტის ლიონ 2-ის უნივერსიტეტთან ორმაგი ხარისხის მიმნიჭებელი, ქართულ-ფრანგული პროგრამის ამოქმედება, რომელიშიც გაზიარებული იქნება აღნიშნული სასწავლებლის გამოცდილება და სტუდენტებს მიეცემათ შესაძლებლობა გაიარონ სწავლების ნაწილი და პრაქტიკა უშუალოდ საფრანგეთში.

ვ) პროგრამის მიზანი

[4] შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტის კვლევა საქართველოს შრომის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო. თბილისი 2015 http://www.moh.gov.ge/uploads/files/oldMoh/01_GEO/Shroma/kvleva/33.pdf (გვ, 7, 18, 20, 27, 39, 44)

[5] https://www.tsu.ge/ge/about/mission_statement/

წინამდებარე პროგრამის მიზანს წარმოადგენს: პროგრამის მიზანს სტუდენტს მიეცეს ღრმა და სისტემური ცოდნა ტურიზმის სფეროშიმ კულტურული ტურიზმის გაძლიერებული ცოდნით და საფრანგეთის აკადემიური და პრაქტიკული გამოცდილების სიღმისეული შესწავლით, ფრანგული ენის პროფესიონალურ დონეზე დოუფლებით, რაც პასუხობს ტურიზმის შრომის ბაზრის არსებულ და პერსპექტიულ მოთხოვნებს.

- მარკეტინგის და მენეჯმენტის, როგორც ტურიზმთან უშუალოდ და პირდაპირ დაკავშირებული დისციპლინების სისტემური შესწავლა, რაც საშუალებას მისცემს კურსდამთავრებულს გააცნობიეროს ამ სფეროებში ინოვაციური და უახლესი მეთოდების ადაპტირება და გამოყენება ტურიზმთან მიმართებაში;
- ტურიზმის, როგორც კომპლექსური მოვლენის ძირითადი მიმართულებების, როგორიცაა პოლიტიკა, მდგრადი განვითარება, სტრატეგიული მარკეტინგი და მენეჯმენტი - სიღრმისეული ცოდნა, მათი როლის გაცნობიერება სამეწარმეო საქმიანობაში და ზოგადად, საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში;
- ტურიზმის, დასვენებისა და კულტურული მემკვიდრეობის კომპლექსური და სიღრმისეული შესწავლა, ტურიზმში კულტურათაშორისი ურთიერთობების მნიშვნელობის და რისკების გათვითცნობიერება, საფრანგეთში სწავლის შესაძლებლობის მაქსიმალური გამოყენებით, რაც კურსდამთავრებულებს მიანიჭებს კონკურენტულ უპირატესობას ტურიზმის შრომით ბაზარზე;
- ტურიზმის ბიზნესის და საერთაშორისო მასპინძლობის, როგორც აღნიშნული სფეროს ძირითადი დარგების ცოდნა, მ.შ. დაგეგმვისა და მენეჯმენტის საკითხების სიღრმისეული შესწავლით, რაც შრომით ბაზარზე ასევე წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მოთხოვნად კვალიფიკაციებს და ხელს შეუწყობს კურსამთავრებულთა დასაქმებას;
- ტურიზმის, როგორც გლობალური მოვლენის, თანამედროვე პრობლემატიკის იდენტიფიკაციის, გამოკვლევისა და შესწავლის საშუალებების სრულყოფილი დაუფლება, კვლევის სტატისტიკური და სხვა გამოყენებითი სამეცნიერო კვლევების მეთოდიკის გამოყენებით;
- ტურიზმის სფეროში კონკრეტულ და აქტუალურ საკუთხებზე ორიენტირებული პროექტების ყველა საფეხურის: დაგეგმვის, ორგანიზების, განხორციელების, მონიტორინგისა და შედეგების შეფასების მენეჯმენტის სრულყოფილი დაუფლება, რაც უზრუნველყუოფს ცოდნის შექმნას, შენახვას და გადაცემას;
- მიღებული ცოდნის პრაქტიკაში აქტიურად გამოყენების, საკუთარი ცოდნის კრიტიკული შეფასების უნარ-ჩვევების შეძენა, უწყვეტი განათლების მნიშვნელობის გათვითცნობიერება და ცოდნის შემდგომი გაღმავების მიმართულებების შეგნებული არჩევის უნარის დაუფლება;
- ტურიზმის სფეროში საფრანგეთისა და საქართველოს თეორიული და კონცეფტუალური, ასევე დარგობრივი და მეთოდიკური ცოდნის, მისი გამოყენების უნარ-ჩვევების სრულყოფილი შესწავლა, ქართველი სტუდენტების მიერ საფრანგეთის ტურისტული კომპანიების გამოცდილების სიღრმისეული შესწავლა, ფრანგული ენის ზოგადი და პროფესიული ცოდნის დაუფლება, მულტიკულტურულ გარემოში ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების გათვითცნობიერება;

- სტუდენტებისა და პროფესიულ აკადემიურ საზოგადოებაში საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების უნარის დაუფლება და პრაქტიკის შეძენა, რასაც უზრუნველყოფს საფრანგეთის პროფესორ მასწავლებლებთან ურთიერთობა და საფრანგეთში სწავლების პროცესი.

ზ) პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ტურიზმის სამაგისტრო პროგრამაზე მიღების სტანდარტები შეესაბამება სახელმწიფო მოთხოვნებსა და საერთო საუნივერსიტეტო წინაპირობებს. პროგრამაზე სწავლა შეუძლია ყველა მსურველ კანდიდატს, რომელიც ფლობს ბაკალავრის აკადემიურ ხარისხს. პროგრამაზე სწავლის მსურველებმა უნდა ჩააბარონ საერთო სამაგისტრო გამოცდა და სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები დამატებითი გამოცდა სპეციალობაში. ასევე, გაიაროს გასაუბრება პროგრამის არჩევის მოტივაციაზე, რომელიც ტარდება ფრანგულ ენაზე. აბიტურიენტს მოეთხოვება ფრანგული ენის ცოდნა B1 დონეზე. გასაუბრებას ახორციელებს შესაბამისი დარგობრივი კომისია ფრანგული მხარის ჩართულობით.

მისაღები გამოცდა (ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის საფუძვლები) წერითია, ფასდება 100 ქულიანი სისტემით. ბილეთი შედგება ოთხი კითხვისაგან, რომელთაგან თითოეული ფასდება 25 ქულით (მისაღები საგამოცდო საკითხები იხილე დანართში 1). გამოცდისთვის განსაზღვრულია 3 საათი, მინიმალური გამსვლელი ქულაა 51. პასუხი შეფასდება შემდეგი წესით:

- 21-25 ქულა: პასუხი სრულია; საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია დაცული; სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე ლიტერატურა.
- 16-20 ქულა: პასუხი სრულია, მაგარამ შეკვეცილი; ტერმინოლოგიურად გამართულია; საკითხი ამომწურავად არის გადმოცემული; არსებითი შეცდომა არ არის; სტუდენტი კარგად ფლობს მასალას; ათვისებული აქვს ძირითადი ლიტერატურა.
- 11-15 ქულა: პასუხი არასრულია; საკითხი დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია ნაკლოვანია; სტუდენტი ფლობს მასალას, მაგარამ აღნიშნება მცირეოდენი შეცდომები.
- 6-10 ქულა: პასუხი არასრულია; ტერმინოლოგია მცდარია; საკითხის შესაბამისი მასალა გადმოცემულია ნაწილობრივ; სტუდენტს არასაკმარისად აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა; აღინიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა.
- 1-5 ქულა: პასუხი ნაკლოვანია; ტერმინოლოგია არ არის გამოყენებული, ან არ არის შესაბამისი; პასუხი არსებითად მცდარია. გადმოცემულია საკითხის შესაბამისი მასალის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები.
- 0 ქულა: პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის, ან საერთოდ არაა მოცემული.

სასწავლო პროგრამის ღირებულებაა 2 250 ლარი

თ) სწავლის შედეგი

1.ცოდნა და გაცნობიერება:

ზოგადი კომპეტენცია:

1.1. გააჩნია ღრმა და სისტემური ცოდნა ტურიზმთან დაკავშირებულ კულტურული მემკვიდრეობის თეორიაში, მარკეტინგის და მდგრადი განვითარების კონცეფციაში, ცვლად გარემოში სტრატეგიული და

ოპერატიული მენეჯმენტის მეთოდილოგიასა და მეთოდიკაში, კვლევითი პროექტების განხორციელების და მართვის კონცეპტუალურ და მეთოდიკურ საკითხებში; ღრმად აცნობიერებს ტურიზმთან დაკავშირებულ სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ გამოწვევებს, ტურიზმის განვითარების კავშირს ეროვნულ მემკვიდრეობასთან (საქართველოს და საფრანგეთის მაგალითებზე), მდგრადი განვითარებისა და მულტიდისციპლინური მიდგომების მნიშვნელობას ამ გამოწვევების შესწავლაში; აქვს ფრანგული ენის ყოფითი და პროფესიული ცოდნა, რომელიც გამყარებულია საფრანგეთში სწავლით და სტაჟირებით;

დარგობრივი კომპეტენციები:

1.2. გააჩნია ტურიზმის ინდუსტრიის უმთავრესი მიმართულებების - ტურისტთა მომსახურების, დანიშნულების ადგილებისა და მასპინძლობის მენეჯმენტის ცოდნა; აცნობიერებს პრობლემების დასაძლევად ორიგინალური იდეების შემუშავებში ინოვაციური მიდგომებისა და კონცეფციების მნიშვნელობას, რომელთა შორისაა: ტრანსდისციპლინური კონცეფცია, ე.წ. სუბიექტ-დიფერენცირებული მიდგომა, ტურისტული რესურსების და კულტურული მემკვიდრეობის "ვალორიზაცია", ტურიზმის მომსახურების მეშვეობით „კოლექტიური მეხსიერების" ფორმირება, „მომსახურების დომინირების" კონცეფცია, „ჩართულობითი ტურიზმი" და სხვა.

1.3. ფლობს ტურიზმის თანამედროვე, კომპლექსური პრობლემების და აქტუალური საკითხების იდენტიფიცირების, გამოკვლევის, განზოგადებისა და პროგნოზირების მეთოდიკას, რომელიც ითვალისწინებს დაკვირვების, სოციოლოგიური გამოკითხვების, სტატისტიკური ანალიზის და სხვა მეთოდებს, გააჩნია კვლევით პროექტებში დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირების და მათი ჩართულობის, პროექტების მომზადების, განხორციელების და მენეჯმენტის ცოდნა, იცის კვლევების ჩატარების მიდგომები და სტრატეგიები.

2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

ზოგადი კომპეტენცია:

2.1. გააჩნია ტურიზმთან დაკავშირებული პრაქტიკული საკითხების თეორიულ კონტექსტში გათვითცნობიერების უნარი, შეუძლია მიღებული შედეგების კონცეფტუალური განზოგადება და შედეგების პრეზენტაციის მომზადება ქართულ და ფრანგულ ენებზე;

დარგობრივი კომპეტენციები:

2.2. გააჩნია ტურიზმის მულტიდისციპლინურ გამოწვევებზე მარკეტინგული კვლევების ჩატარების უნარი, ტურისტულ ნაკადებზე, პროცესებზე და მოთხოვნებზე ადეკვატური მონაცემების მოპოვებით, ანალიზით და მოდელირებით; შეუძლია, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, მოიძიოს და კვალიფიციურად შეარჩიოს ინფორმაცია „გაეროს მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის", „ტურიზმისა და მოგზაურობის მსოფლიო საბჭოს", "ევროსტატის", „მსოფლიო ბანკის", „საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის", „საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის" და სხვა წყაროებიდან;

2.3. გააჩნია იდენტიფიცირებიული კომპლექსური პრობლემების გამოკვლევის, მათი გადაჭრის გეგმების დასახვისა და განხორციელების უნარი, მათ შორის ტურისტული მომსახურების სცენარების შედგენით; შეუძლია ტურისტული ობიექტების ღირებულებების გამოვლენა და შეფასება განსხვავებული სამიზნე

ჯგუფებისათის, ამ ღირებულებების მორგება და გასაგებად მიწოდება ტურისტთა მოლოდინების და ინტერესების გათვალისწინებით (expectations fulfillment);

3. დასკვნა და დასკვნის უნარი

ზოგადი კომპეტენცია:

3.1. შეუძლია ბიზნესის სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ გარემოზე რთული, არასრული და წინააღმდეგობრივი ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი მონაცემების და კვლევების) მონაცემების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების მიღება.

დარგობრივი კომპეტენციები:

3.2. შეუძლია ტურიზმის ცალკეული მიმართულების და მათი შემადგენელი კომპონენტების (კონკურენტული გარემოს ბაზრის, მარკეტინგის, ბიზნესის, ტურისტული რესურსების, განთავსების საშუალებების, შრომითი რესურსების, მომსახურების, ინფრასტრუქტურის) მულტიდისციპლინური გამოკვლევების შედეგების სწორი „დიაგნოსტირება", რეკომენდაციების და გეგმების შემუშავება, სხვა პრაქტიკული და თეორიული ხასიათის დასკვნების გამოტანა;

3.3 გააჩნია არგუმენტირებული დასკვნების გამოტანის უნარი ტურიზმის განვითარების გლობალურ, რეგიონულ და ადგილობრივ (საფრანგეთი, საქართველო და მათი ტურისტული ტერიტორიები) პროცესებზე, ტურიზმის ზეგავლენაზე კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ გარემოზე, ასევე ამ გარემოს ზეგავლენაზე ტურიზმის - ფირმის, დესტინაციის და დარგის განვითარებაზე.

4. კომუნიკაციის უნარი

ზოგადი კომპეტენცია:

4.1 გააჩნია საკუთარი დასკვნების, იდეებისა და მოსაზრებების გაზიარების უნარი კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმების გამოყენებით, მათ შორის - ვერბალურად, წერილობით, ელექტრონული კომუნიკაციის მეშვეობით, ასევე დისკუსიებისა და პრეზენტაციის ჩათარებით, ქართულ და ფრანგულ ენებზე.

დარგობრივი კომპეტენციები:

4.2. საფრანგეთში სწავლისა და პრაქტიკის გავლის შედეგად, გააჩნია ტურიზმისათვის დამახასიათებელ მულტიპროფესიულ და მულტიკულტურულ საზოგადოებასთან - ადგილობრივ აკადემიურ პერსონალთან, სპეციალიტებთან, სტუდენტებთან, ტურისტულ კომპანიებთან და მათ მომხმარებლებთან ფრანგულენოვანი კომუნიკაციის უნარი;

4.3. საქართველოსა და საფრანგეთში, განსხვავებულ კულტურულ და სოციალურ გარემოში მიღებული ცოდნისა და პრაქტიკის შედეგად, შეუძლია ტურისტულ საკითხებთან დაკავშირებით პროფესიულ პოლემიკაში ჩართვა, საკუთარი დასკვნებისა და არგუმენტაციის კომუნიკაცია, და განსხვავებული ინტერესების გათვითცნობიერება.

5. სწავლის უნარი

ზოგადი კომპეტენცია:

5.1. გააჩნია ინდივიდუალური და დამოუკიდებელი მუშაობის უნარი, შეუძლია საკუთარი ცოდნის და უნარ-ჩვევების კრიტიკული შეფასება, კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლების საჭიროების შეგნებული განსაზღვრა უწყვეტი განათლების მიღების მნიშვნელობის გაცნობიერებით;

დარგობრივი კომპეტენციები:

5.2. შეუძლია გააზრებულად აირჩიოს ვიწრო სპეციალიზაციის მიმართულება საქართველოში და საფრანგეთში მიღებული ცოდნისა და პრაქტიკის შედეგად, ასევე, შეძენილი უნარ-ჩვევების და ტურიზმის სფეროში პერსპექტიული საბაზრო მოთხოვნების გათვალისწინებით.

5.3. შეუძლია გააზრებულად აირჩიოს და დაგეგმოს კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლება ტურიზმის პრაქტიკული ან აკადემიური მიმართულებით, ასევე ცალკეულ დარგებზე ან/და ტურისტულ დესტინაციებზე ორიენტირებით.

6. ღირებულებები

ზოგადი კომპეტენცია:

6.1. საქართველოში და საფრანგეთში სწავლისა და პრაქტიკის გავლის შედეგად, სტუდენტი აცნობიერებს ბიზნესში, ეკონომიკაში და მასთან დაკავშირებულ სფეროებში გლობალიზაციის შედეგად განვითარებულ ღირებულებებს და კონცეფციებს, რომლებშიც მოიაზრება სოციალური პასუხისმგებლობა, ეროვნული მემკვიდრეობის შენარჩუნება, მდგრადი განვითარება, ეკონომიკისა და ბიზნესის ინტერნაციონალიზაცია და გლობალიზაცია;

დარგობრივი კომპეტენციები:

6.2. შეუძლია ტურიზმის სფეროში გამოვლენილი ახალი და კომპლექსური იდეების ადეკვატური შეფასება, გაცნობიერება და პროგრესული ღირებულებების პოპულარიზაცია, მათ შორის ისეთი ღირებულებების, როგორიცაა ადგილის კულტურული იდენტურობა, ეროვნული მემკვიდრეობა, ე.წ. „მონაწილეობითი“(Experiential) ტურიზმი, ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, განსხვავებული ფასეულობებისა და სოციალური ნიშნების მატარებელ ტურისტებთან ურთიერთობებში საყოველთაოდ აღიარებული ეთიკის ნორმების დაცვა, ტურისტის ინდივიდუალურ მოთხოვნებზე ორიენტირება, დამსვენებელთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

6.3. წარმატებული კურსდამთავრებული სტუდენტი, ტურიზმის სპეციალისტის პოზიციებიდან აცნობიერებს, ქვეყნის განვითარებაში ტურიზმის როლის მნიშვნელობას, განსაკუთრებით ღირსეული სამუშაო ადგილების შექმნაში, სიღარიბის დაძლევაში, ეკონომიკურად დეპრესირებული ადგილების აღორძინებაში, ქვეყნის მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციაში, საქართველოს ცნობადობის ამაღლებაში, ქვეყნებს შორის კულტურული, სოციალური და ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებაში.

სწავლის შედეგების რუკა

	კურსი / სწავლის შედეგები	კომპეტენციები																	
		1.1	1.2	1.3	2.1	2.2	2.3	3.1	3.2	3.3	4.1	4.2	4.3	5.1	5.2	5.3	6.1	6.2	6.3
1	მარკეტინგის მენეჯმენტი	X	X			X		X						X		X		X	
2	სტატისტიკური ანალიზი ტურიზმში			X		X		X		X									
3	კულტურული ტურიზმის მეთოდოლოგია (ფრანგულად)	X	X		X		X		X	X			X	X	X		X		
4	თანამედროვე ტურიზმის მიდგომები და მეთოდები - 1(ფრანგულად)		X	X	X		X	X	X	X						X	X	X	X
5	თანამედროვე ტურიზმის მიდგომები და მეთოდები – 2 (ფრანგულად)		X	X	X		X	X	X	X		X		X		X	X		X
6	ტურისტული დანიშნულების ადგილის მენეჯმენტი	X	X				X		X	X						X	X		X
7	ტურიზმის მარკეტინგის სტრატეგიები	X				X			X						X			X	
8	კვლევის მეთოდები ტურიზმში	X		X	X	X	X	X	X		X		X		X	X			
9	საერთაშორისო მასპინძლობის მენეჯმენტი		X				X			X	X			X		X			X
10	პროექტის შეფასება და შემუშავება - 1 (ფრანგულად)	X		X			X				X								
11	პროექტის შეფასება და შემუშავება -2 (ფრანგულად)	X		X		X	X	X			X	X		X			X		
12	პროექტის ვალორიზაცია და ორგანიზება (ფრანგულად)		X	X	X		X	X	X		X	X	X					X	
13	ტურისტული პროექტების მართვა (ფრანგულად)	X		X		X	X	X			X	X	X	X			X		
14	ტურიზმის მდგრადი განვითარება	X	X	X	X	X	X	X	X	X			X				X	X	X
15	კულტურული და აღმოჩენითი ტურიზმი (ფრანგულად)	X	X				X			X		X			X	X	X	X	

16	ტურების მოდელირება და მართვა		X		X		X			X	X			X		X		X	
17	სტრატეგიული მენეჯმენტი ტურიზმში	X			X			X					X					X	
18	ტურიზმი და რეგიონალური განვითარება		X		X		X			X	X			X					
19	ფრანგული ენა B.1.2.	X			X						X		X			X	X		
20	ფრანგული ენა B.2.1	X	X								X	X	X	X			X	X	X
21	პროფესიული პრაქტიკა				X		X					X	X			X	X	X	X
22	სამაგისტრო ნაშრომი	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X					X	X	X

ი) სწავლების და სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დროს სასურველი შედეგების მისაღწევად გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი ცალკე და კომბინირებულად:

- **დისკუსია-დებატები,** რაც ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხს და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში, რაც მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით არ შემოიფარგლება. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს;
- **ჯგუფური (collaborative) მუშაობა.** გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამაშავებენ საკითხებს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანებიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში;
- **თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება.** ესაა სწავლების სტრატეგია, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ ისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს;
- **შემთხვევის ანალიზის მეთოდი (Case study).** გულისხმობს ლექციის ახსნის პროცესში სტუდენტებთან ერთად კონკრეტული შემთხვევების განხილვას, თეორიული მასალის უფრო თვალსაჩინოდ და საფუძვლიანად წარმოჩენის მიზნით;
- **დემონსტრირების მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტიანია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მოვაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია როგორც მასწავლებლის, ასევე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს.

- **პრაქტიკული მეთოდები** – აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს, აქ სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ აქტივობას, მაგალითად: საწარმოო პრაქტიკას, საველე მუშაობას და სხვა ;
- **ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი.**
- **ახსნა-განმარტებითი მეთოდი** ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში;
- **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია;
- **გონებრივი იერიშის მეთოდი (Brain storming),** რომელიც გულისხმობს კონკრეტული საკითხის ირგვლივ მაქსიმალურად მეტი და რადიკალურად განსხვავებული აზრის, შეხედულების, წარმოდგენის შექმნასა და გამოხატვის ხელშეწყობას, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს პრობლემისქადმი შემოქმედებითად მიდგომას;
- **პროექტის შემუშავება**

- არის სასწავლო შემეცნებითი ხერხების ერთობლიობა, რომელიც პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა სტუდენტის დამოუკიდებელი მოქმედებებისა და მიღებული შედეგების აუცილებელი პრეზენტაციის პირობებში. ამ მეთოდით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას.

პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებულად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ, დამაჯერებლად და კონკრეტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად და ასევე, ერთი საგნის ან რამდენიმე საგნის (საგანთა ინტეგრაციის) ფარგლებში. დასრულების შემდეგ პროექტი წარედგინება ფართო აუდიტორიას.

- **სწავლა სწავლებით (Learning by teaching (LdL) —** ამ შემთხვევაში პედაგოგი გვევლინება კოორდინატორად, ნაკლებად მასწავლებლად. სტუდენტები თვითონ ასწავლიან ერთმანეთს დამოუკიდებლად. განიხილება როგორც კომუნიკაციური სწავლების ნაწილი;
- **როლური და სიტუაციური თამაშები –** სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც სტუდენტს უყალიბებს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს;
- **ევრისტიკული მეთოდი -** სტუდენტის წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივი გადაწყვეტა, რაც სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებითა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება და სხვა
- **სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობა** - არის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კურსების წარმატებით ათვისებისათვის დახარჯული სამუშაო დროის (შრომის) რაოდენობა ძირითადი ლიტერატურის გაცნობა-შესწავლიდან - ჯგუფურ მუშაობამდე და/ან შუალედური და დასკვნითი გამოცდების მომზადებისათვის. დამოუკიდებელი მუშაობის მეშვეობით სტუდენტს უნდა აღეძრას წიგნისადმი და სხვა საინფორმაციო წყაროებისადმი ინტერესი და საკითხების დამოუკიდებლად

შესწავლის სურვილი, რაც დამოუკიდებელი აზროვნების, ანალიზისა და დასკვნების გაკეთების სტიმულირების საშუალებაა. და სხვა.

.

<u>შენიშვნა</u>: *სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები (ზემოდასახელებული კომპონენტების არჩევანი) ყოველი ცალკეული სასწავლო კურსისთვის ასახულია სილაბუსებში, რომელსაც თითოეული ლექტორი ადგენს (ირჩევს) ინდივიდუალურად თემატიკის გათვალისწინებით.*

კ) სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ტარდება ევროპული საკრედიტო სისტემის სტანდარტის შესაბამისად, სადაც დანერგილია შეფასების უწყვეტი ხასიათი. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. თითოეული სასწავლო კურსის (საგნის) შესწავლისას სტუდენტის მოსწრების შეფასება ხორციელდება შემდეგი კომპონენტების მიხედვით:

- დასკვნითი გამოცდა;
- შუალედური გამოცდა;
- აქტივობა სამუშაო ჯგუფში მუშაობის დროს;
- აქტივობა პრაქტიკული მეცადინეობების დროს;
- აქტივობა სემინარზე;
- პრეზენტაცია – ჯგუფური/ინდივიდუალური პროექტი;

სხვა აქტივობები

<u>შენიშვნა:</u> *სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება, გამოცდის ფორმები და მისი კომპონენტების არჩევანი ყოველი ცალკეული სასწავლო კურსისთვის ასახულია სილაბუსებში. ქულების გადანაწილებას განსაზღვრავს ლექტორი სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე.* ***შეფასების მაქსიმალური ქულაა - 100.***

პროგრამაში შემავალ თითოეულ სასწავლო კურსში განსაზღვრულია შუალედური შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი, აგრეთვე დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი (იხ. პროგრამის სილაბუსები)
სამაგისტრო ნაშრომის დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი შეადგენს დასკვნითი შეფასების საერთო ჯამის (100 ქულა) 50 %-ს.

კრედიტი მინიჭებულად ითვლება დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში (თუ სტუდენტი შეფასების ყველა ქულების გათვალისწინებით დააგროვებს - 51- 100 ქულას).
სალექციო კურსის თემები და შესაბამისი სასემინარო/სამუშაო ჯგუფში /პრაქტიკულ მეცადინეობის თემატიკა ერთნაირია, სალექციო კურსის მოსმენის შემდეგ, იმავე თემაზე სემინარზე მუშაობას პრაქტიკული შედეგი აქვს და სტუდენტი ადვილად იგებს და ითვალისწინებს შესასწავლ მასალას.

შეფასების სისტემა მოიცავს:
ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი - შეფასების **91 – 100** ქულა;
(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების **81-90** ქულა;
(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების **71-80** ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების **61-70** ქულა;
(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების **51-60** ქულა.

ორი სახის უარყოფითი შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების **41-50** ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასება **40** ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სამაგისტრო ნაშრომის (FX) შეფასების მიღების შემთხვევაში, მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში;

(F) შეფასების მიღების შემთხვევაში, მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.

დამატებითი გამოცდა

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, **FX**-ის მიღების შემთხვევაში, დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ **5 დღეში,** დასკვნითი გამოცდის გადაბარების ცხრილით განსაზღვრულ დროს.

აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება სამაგისტრო ნაშრომის მიმართ;
სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა;
დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

ლ) პროგრამის სასწავლო გეგმა

სამაგისტრო პროგრამის მოცულობა 120 ECTS კრედიტია (აკადემიური წლის განმავლობაში - 60, ხოლო სემესტრის განმავლობაში - 25-35 ECTS კრედიტი). ერთი სემესტრის ხანგრძლივობა შეადგენს 19 კვირას, აქედან 15 კვირა გამოყოფილია სააუდიტორიო მეცადინეობებისა და შუალედური გამოცდებისათვის. ერთი ECTS კრედიტი უტოლდება 25 საათს, რომელიც ფარავს როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელ მუშაობას. ამასთან, სააუდიტორიო მუშაობა შეადგენს დატვირთვის დაახლოებით 40%-ს, ხოლო 60% – მოდის დამოუკიდებელი მუშაობის წილად.

პროგრამის 120 ECTS კრედიტიდან: სავალდებულო კურსები 71 ECTS კრედიტი, პროფესიული პრაქტიკა 14 ECTS კრედიტი და სამაგისტრო ნაშრომი – 20 ECTS კრედიტი. არჩევითი კურსებზე მოდის 15 ECTS კრედიტი – 6 არჩევითი 5 ECTS კრედიტიანი კურსიდან ასარჩევია 3 (I-III სემესტრებში).

ლუმიერის უნივერსიტეტის ლიონ 2-ს პროფესორების მიერ ლექციები და სემინარები ტარდება სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სემესტრებში. ამასთან, თითოეულ სემესტრში

დასაშვებია ფრანგული და ქართული მხარეების სასწავლო განრიგის გადანაწილება, კერძოდ, საფრანგეთიდან მოწვეულ ლექტორებს შეეძლებათ ადგილობრივი ლექტორების სასწავლო საათების ჩანაცვლება.

ტურიზმის სამაგისტრო პროგრამის გეგმა
პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): 2018 – 2022 წწ.

კოდი	სასწავლო კურსის დასახელება	სასწავლო კურსის სტატუსი	საგანზე დაშვების წინაპირობა	საკონტაქტო მუშაობის საათების რაოდენობა			დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა	ლექტორი	კრედიტების საერთო რაოდენობა	კრედიტების განაწილება			
										სემესტრები			
				სულ	ლექცია	სემინარი				I	II	III	IV
პროგრამისათვის სავალდებულო კურსები – სულ 71 კრედიტი													
1	მარკეტინგის მენეჯმენტი	სავალდებულო	არა აქვს	45	15	30	80	ნუგზარ თოდუა	5	5			
2	სტატისტიკური ანალიზი ტურიზმში	სავალდებულო.	არა აქვს	45	15	30	80	ნინო აბესაძე, სიმონ გელაშვილი	5	5			
3	ტურისტული დანიშნულების ადგილის მენეჯმენტი	სავალდებულო	არა აქვს	45	15	30	80	ნანა კაციტაძე	5	5			
4	კვლევის მეთოდები ტურიზმში	სავალდებულო	არა აქვს	45	15	30	80	ნანა კაციტაძე	5	5			
5	კულტურული ტურიზმის მეთოდოლოგია (ფანგულად) (Méthodologie du tourisme culturel)	სავალდებულო	არა აქვს	27	9	18	48	Julia Csergo, Frédéric Lamantia (Lyon II)	3		3		
6	თანამედროვე ტურიზმის მიდგომები და მეთოდები (ფრანგულად) – 1 (Outils et approches du tourisme contemporain - niveau 1)	სავალდებულო	არა აქვს	36	12	24	64	Isabelle Lefort (Lyon II)	4		4		
7	პროექტის შეფასება და შემუშავება - 1 (ფრანგულად) (Diagnostic et montage de projet - niveau 1)	სავალდებულო	არა აქვს	36	12	24	64	Frédéric Lamantia, Nataliia Moroz (Lyon II)	4		4		
8	საერთაშორისო	სავალ	არა აქვს	45	15	30	80	ვალერი	5		5		

	მასპინძლობის მენეჯმენტი	დებულო						არღუთაშვილი					
9	პროექტის შეფასება და შემუშავება - 2 (ფრანგულად) (Diagnostic et montage de projet - niveau 2)	სავალდებულო	პროექტის შეფასება და შემუშავება - 1	45	15	30	80	Nataliia Moroz (Lyon II)	5			5	
10	თანამედროვე ტურიზმის მიდგომები და მეთოდები - 2 (ფრანგულად) (Outils et approches du tourisme contemporain - niveau 2)	სავალდებულო	თანამედროვე ტურიზმის მიდგომები და მეთოდები - 1 (ფრანგულად)	45	15	30	80	Isabelle Lefort, (Lyon II)	5			5	
11	ტურიზმის მარკეტინგის სტრატეგიები	სავალდებულო	მარკეტინგის მენეჯმენტი	45	15	30	80	იოსებ ხელაშვილი	5			5	
12	ტურიზმის მდგრადი განვითარება	სავალდებულო	არა აქვს	45	15	30	80	იოსებ ხელაშვილი	5			5	
13	პროექტის ვალორიზაცია და ორგანიზება (ფრანგულად) (Valorisation et montage de projets)	სავალდებულო	პროექტის შეფასება და შემუშავება - 2 (ფრანგულად)	45	15	30	80	Frédéric Lamantia (Lyon II)	5				5
14	ტურიზმის პროექტის მართვა (ფრანგულად) (Gestion de projet touristique)	სავალდებულო	პროექტის შეფასება და შემუშავება - 2 (ფრანგულად)	45	15	30	80	Vitet Batat (Lyon II)	5				5
15	კულტურული და აღმოჩენითი ტურიზმი (ფრანგულად) (Tourisme culturel et de découverte)	სავალდებულო	კულტურული ტურიზმის მეთოდოლოგია(ფრანგულენაზე)	45	15	30	80	Isabelle Lefort, Julia Csergo, Frédéric Lamantia (Lyon II)	5				5
სპეციალობის არჩევითი კურსები – 15 კრედიტი													
16	სტრატეგიული მენეჯმენტი	არჩევითი	არა აქვს	45	15	30	80	მერაბ ხოხობაია	5	5			

	ტურიზმში												
17	ფრანგული B1.2	არჩევითი	არა აქვს	45	15	30	80	თამარ ღარიბაშვილი ,მარია ბურჩაკ-აბრამოვიჩი	5				
18	ტურიზმი და რეგიონული განვითარება	არჩევითი	არა აქვს	45	15	30	80	ვალერი არღუთაშვილი	5				
19	ფრანგული B2.1	არჩევითი	ფრანგული B1.	45	15	30	80	თამარ ღარიბაშვილი ,მარია ბურჩაკ-აბრამოვიჩი	5		5		
20	ტურების მოდელირება და მართვა	არჩევითი	არა აქვს	45	15	30	80	ნიკო კვარაცხელია	5				
21	ფრანგული B2.2	არჩევითი	ფრანგული B2.1	45	15	30	80	თამარ ღარიბაშვილი ,მარია ბურჩაკ-აბრამოვიჩი	5			5	
პროფესიული პრაქტიკა – 14 კრედიტი													
23	პროფესიული პ-რაქტიკა	სავალდებულო	ათვისებული მინიმუმ 20 კრედიტი	26		15	324	იოსებ ხელაშვილი, Isabelle Lefort (Lyon II)			**14**		
სამაგისტრო ნაშრომი – 20 კრედიტი													
24	სამაგისტრო ნაშრომი (იცავს საფრანგეთში)	სავალდებულო	მთლიან სასწავლო პროგრამაში ათვისებული მინიმუმ 80 კრედიტი, მათ შორის სავალდებულო ფრანგული B2.2.	500		20	480	Isabelle Lefort, Julia Csergo, Wided Batat,Frédéric Lamantia, Nataliia Moroz (Lyon II)					20

პროგრამისათვის სავალდებულო კურსები – სულ 71 კრედიტი
სპეციალობის არჩევითი კურსები – სულ 15 კრედიტი
პროფესიული პრაქტიკა – 14 კრედიტი
სამაგისტრო ნაშრომი – 20 კრედიტი

სულ 120 კრედიტი

პროგრამის კურსების სილაბუსები მოცემულია დანართში 2.

მ) სამაგისტრო ნაშრომის მახასიათებლები:

სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხდება მე–2 წლის გაზაფხულის სემესტრის ბოლოს. ლუმიერის უნივერსიტეტის ლიონ 2-ს უნივერსიტეტში და ხორციელდება აღნიშნული უნივერსიტეტში მიღებული რეგულაციებით. თსუ უაზრუნველყოფს წარმატებულად დაცული სამაგასტროს ნაშრომის კრედიტების აღიარებას შესაბამისი რეგულირების საფუძველზე.

ნ) პროფესიული პრაქტიკა:

პროფესიული პრაქტიკის გავლა წარმოებს საქართველოში ტურიზმის სფეროში მოქმედი კერძო კომპანიებში, ასევე, საჯარო და სახელმწიფო ორგანიზაციებში მათთან გაფორმებული ხელშეკრულებების, მემორანდუმების საფუძველზე, ასევე ერთჯერადი წინასწარი შეთანხმებით. პროფესიული პრაქტიკის დასრულების შემდეგ სტუდენტი ამზადებს ანგარიშს, რომლის დაცვა ხდება შესაბამისი კომისიის წინაშე. პროფესიული პრაქტიკის განხორციელება რეგულირდება შესაბამისი სილაბუსით.

უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი ხელშეკრულების (მემორანდუმების) საფუძველზე საწარმოო პრაქტიკას გადის:

1. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია: სანაპიროს 4. 0105, თბილისი
2. საქართველოს გიდების ასოციაცია, მისამართი: თბილისი, ჯანაშიას ქ. 5;
3. საქართველოს სასტუმროების, რესტორნების და კაფეების ფედერაცია, მისამართი: თბილისი, ჯანაშიას ქ. 5;
4. შ. პ. ს. "GASA" – ტუროპერატორული კომპანია, მისამართი: თბილისი, ი.აბაშიძის ქ.29;
5. შ.პ.ს. „თრეველ–ტური", მისამართი: ქ. თბილისი, არაყიშვილის 8ა;
6. სს Hualing International Special Economic Zone, წარმოდგენილი კომპანიის საკუთრებაში არსებული სასტუმრო - „Hotels & Preference Hualing Tbilisi". მისამართი: ქ. თბილისი, თბილისის ზღვის ახალი ქალაქი.

ო) საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების განაწილება

სამაგისტრო პროგრამის მოცულობა 120 ECTS კრედიტია (აკადემიური წლის განმავლობაში - 60, ხოლო სემესტრის განმავლობაში - 25-35 ECTS კრედიტი). ერთი სემესტრის ხანგრძლივობა შეადგენს 19 კვირას, აქედან 15 კვირა გამოყოფილია სააუდიტორიო მეცადინეობებისა და შუალედური გამოცდებისათვის. ერთი ECTS კრედიტი უტოლდება 25 საათს, რომელიც ფარავს როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელ მუშაობას. ამასთან, სააუდიტორიო მუშაობა შეადგენს დატვირთვის დაახლოებით 40%-ს, ხოლო 60% – მოდის დამოუკიდებელი მუშაობის წილად.

პროგრამის 120 ECTS კრედიტიდან: სავალდებულო კურსები 71 ECTS კრედიტი, პროფესიული პრაქტიკა 14 ECTS კრედიტი და სამაგისტრო ნაშრომი – 20 ECTS კრედიტი. არჩევითი კურსებზე მოდის 15 ECTS კრედიტი – 6 არჩევითი 5 ECTS კრედიტიანი კურსიდან ასარჩევია 3 (I-III სემესტრებში).

ლუმიერის უნივერსიტეტის ლიონ 2-ს პროფესორების მიერ ლექციები და სემინარები ტარდება სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სემესტრებში. ამასთან, თითოეულ სემესტრში დასაშვებია ფრანგული და ქართული მხარეების სასწავლო განრიგის გადანაწილება, კერძოდ, საფრანგეთიდან მოწვეულ ლექტორებს შეეძლებათ ადგილობრივი ლექტორების სასწავლო საათების ჩანაცვლება.

ნ). სტუდენტის დატვირთვა

სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) მოიცავს:

- ლექციაზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ მეცადინეობას;
- დამოუკიდებელ მეცადინეობას;
- პროფესიულ პრაქტიკას;
- გამოცდების მომზადება-ჩაბარებას;
- სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობას;
- პროექტის პრეზენტაციას;
- სხვა დატვირთვას, რომლითაც მიიღწევა სწავლის შედეგები.

ჟ) დასაქმების სფეროები

ტურიზმის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულნი ორმაგი აკადემიური ხარისხით - „ტურიზმის მაგისტრი“ (თსუ-ს მხრიდან) და „მემკვიდრეობა და კულტურული ტურიზმი“ (ლუმიერის უნივერსიტეტის ლიონ 2-ს მხრიდან) მზად იქნებიან დასაქმდნენ ტურიზმის სფეროსთან დაკავშირებული საქმიანობის საშუალო და მაღალი რანგის მენეჯერებად, მარკეტინგის, დაგეგმვის, კულტურული ტურების შედგენის და კულტურული ტურიზმის მომსახურების სპეციალისტებად, სხვა სახის ტურების შედგენის და ორგანიზების სპეციალისტებად, ვიზიტორთა მომსახურების მენეჯერებად, ოპერირებათა მენეჯერებად, ტურიზმის ექსპერტებად, საკუთარეი ბიზნესის მეწარმეებად შემდეგი ტიპის ორგანიზაციებში და დასაქმების სხვა ობიექტებში:

- ✓ ტუროპერატორულ და ადგილზე ტურისტთა მომსახურებაზე ორიენტირებულ კერძო კომპანიებში, მათ შორის სასტუმროებში და საკუთარ მცირე საწარმოებში;
- ✓ ტურიზმთან დაკავშირებულ ცენტრალურ და ადგილობრივ სახელმწიფო ორგანიზაციებში, მათ შორის, ტურისტული დანიშნულების ადგილების განვითარებისა და მენეჯმენტის სექტორში,
- ✓ ტურიზმთან დაკავშირებულ არასამთავრობო და საერთაშორისო პროექტებსა და პროგრამებში;
- ✓ ტურიზმთან დაკავშირებულ საერთაშორისო ორგანიზაციებში;
- ✓ სხვა სახის სახელკმწიფო, საჯარო და არასამთავრობო დაწესებულებებში, მათ შორის მუზეუმებში, ისტორიული მემკვიდრეობის მმართველ ორგანიზაციებში.

ასევე, შეეძლებათ პროფესიული განვითარებისა და სრულყოფის მიზნით სწავლისა და კვლევითი საქმიანობის გაგრძელება შესაბამის კვლევით დაწესებულებებსა და პროექტებში.

ფრანგულ ენაში მიღებული განათლება, საფრანგეთში სწავლის პრაქტიკა და კულტურულ ტურიზმზე ორიენტირებული ცოდნა წარმოადგენს შედარებით დეფიციტურ, ამასთანავე პერსპექტიულ კვალიფიკაციას, რომელც მიანიჭებს კურსდამთავრებულებს მნიშვნელოვან კონკურენტულ უპირატესობას სამსახურის მოძიებაში.

რ) სწავლის გაგრძელების საშუალება: მაგისტრატურის კურსდამთავრებულს შესაძლებლობა აქვს სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურაში.

ს) სამაგისტრო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სამაგისტრო პროგრამის სასწავლო პროცესის ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფა შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება # 99/ნ დამტკიცებულ სტანდარტებს; კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სათანადო კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალის, მ ასწავლებელთა, მკვლევართა ან მოწვეული პერსონალის მიერ.

ტ) სამაგისტრო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი

სასწავლო პროცესისათვის გამოიყენება უნივერსიტეტის საკუთრებასა და მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება - სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე, საინფორმაციო - საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, ინტერნეტში ჩართული და თანამედროვე პროგრამების პაკეტით აღჭურვილი უახლესი კომპიუტერული კლასი და სხვა), რაც შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის #99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ სტანდარტს; ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული მიზნების და სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.

საფრანგეთში სწავლების მე-4 სემესტრში ლუმიერის ლიონ-2ს უნივერსიტეტი დაეხმარება სტუდენტებს საცხივრებელი ადგილის შოვნაში, ასევე სადიპლომო ნაშრომისათვის შსასრულებლად პრაქტიკის ობიექტის პოვნაში და უზრუნველყოფს მონაწილე სტუდენტების მიერ აღნიშნული უნივერსიტეტის ბიბლიოთეკით უფასო სარგებლობას და წვდომას. ლუმიერის უნივესრიტეტის ლექტორების ვიზიტს საქართველოში ლექცია-სემინარების ჩატარაების მიზნის აფინანსებს ერაზმუსის პროგრამა.

ს) დამატებითი ინფორმაცია

მაგისტრანტს საშუალება ეძლება ისწავლოს საფრანგეთის ლიონ 2 -ის უნივერსიტეტში, ასევე მათ ექნებათ საშუალება მოისმინონ აღნიშნული უნივერსიტეტის ლექტორების სალექციო კურსები. შედეგად მიიღონ ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ლიონ 2-ს უნვერსიტეტების სამაგისტრო დიპლომები.

ტურიზმის კათედრა უქმნის მაგისტრანტს პირობებს სამეცნიერო კვლევაზე ორიენტირებული სამუშაოს ჩასატარებლად, რომელიც უნდა მოიცავდეს დასაბუთებულ თეორიულ შედეგებს. ამ მიზნით, მაგისტრანტს ეძლევა ფაკულტეტისა და თსუ–სა და ლუმიერის უნივერსიტეტის ლიონ 2-ს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკებითა და არსებული კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობის შესაძლებლობა კვლევის თემასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციის მოსაპოვებლად. ასევე, დამატებითი ლიტერატურა (ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსიები) მიეწოდება მაგისტრანტს პროგრამის ხელმძღვანელის მიერ.

ტ) პროგრამის ანალოგები

- Universite Lumiere Lyon2 - http://www.univ-lyon2.fr/departement-tourisme-197555.kjsp
- University of Surrey /UK/ - https://www.surrey.ac.uk/postgraduate/international-tourism-management-msc-2018
- Edinburg Napier University /UK/ - https://www.napier.ac.uk/courses/browse-interests/tourism
- University of Glasgow /UK/ - https://www.gla.ac.uk/postgraduate/taught/tourismheritagedevelopment/
- Lapin Yliopisto University of Lapland (Finand) - https://www.ulapland.fi/EN/Admissions/Masters-Studies/Masters-Degree-Programmes/Tourism,-Culture-and-International-Management
- Heriot Watt University /UK/ - https://www.hw.ac.uk/study/uk/postgraduate/tourism-heritage-management.htm
- Radboud University /NL?- http://www.ru.nl/english/education/masters/tourism-and-culture/
- University of Southern Denmark /DK/ - https://www.sdu.dk/en/uddannelse/kandidat/european_master_in_tourism_management
- University of Ljubljana /SI/ - http://www.ef.uni-lj.si/graduate/tourism
- INSEEC University /FR/ - https://masters.inseec.com/en/masters-mba-programs/marketing-communication-digital/index.cfm

დანართი 1

სპეციალობის საგამოცდო საკითხები

სპეციალობის საგამოცდო საკითხები

1.ტურიზმის არსი, კლასიფიკაცია, დეფინიციები;ტურიზმის ინდუსტრიის სტრუქტურა;

2. საჰაერო მიმოსვლის ინდუსტრია და მისი როლის გაგება მოგზურობაში; ალიანსები, დერეგულაცია და კონსოლიდაცია;
3. საავტომობილო ტრანსპორტი მგზავრთა გადაყვანაში, ავტომობილების გაქირავების სერვისი;
4. სარკინიგზო ტრანსპორტი მგზავრთა გადაყვანაში;
5. ტურიზმის ევოლუცია;
6.მსოფლიოს ტურისტული ცენტრები, ტოპათეულის დანიშნულების ადგილები;
7.ტურიზმისა და ტურიზმის მენეჯმენტის კომპონენტები;
8. ტურიზმის სწავლების საბაზისო მიდგომები;
9.ტურიზმის კულტურული ზეგავლენა, კულტურული ტურიზმი;
10. ტურიზმის ეკონომიკური ზეგავლენა;
11.მოტივაციები ტურიზმში, მოგზაურთა სამოტივაციო მოდელების განვითარება;
12.ტურისტული დანიშნულების ადგილები, მისი ტიპები, დონეები, ტურისტების მიზიდვის სხვა საშუალებები.
13.ტურიზმის პოლიტიკა, შინაარსი და პროცესი;
14. ტურიზმი და გარემო;
15. ეკოტურიზმი;
16. მდგრადი ტურიზმი,
17.სადისტრიბუციო პროცესი ტურიზმში, სამოგზაურო აგენტები, ტურსააგენტოები;
18 ინტერენეტის გავლენა ტურიზმისა და მოგზაურობის სადისტრიბუციო არხებზე;
19 ტურიზმის კომპონენტები და მიწოდება;
20. მოთხოვნის გაზომვა და პროგნოზირება ტურიზმში;
21. მარკეტინგის კონცეფცია, ტრისტული პროდუქტის თავისებურებანი;
22. მარკეტინგული კომპლექსი ტურიზმში;
23.ტურისტული ბაზრის სეგმენტირება;
24. ტურისტული შთაბეჭდილებები და დანიშნულების ადგილის ტიპები;
25. განთავსებისების საშუალებები და მისი ტიპოლოგია;
26.განთავსების საშუალებების ევოლუცია და განვითარების თანამედროვე ტენდენციები;
27.სასტუმროთა კლასიფიკაცია (ფასისის, მოგზაურთა ტიპების და სხვა ნიშნებით) 28.კვების ინდუსტრია-კვების სერვისების სტრუქტურა;
29. მენიუს განვითარების ტენდენციები; კულინარული ტურიზმი;
30.შეხვედრების ინდუსტრია;
31. ტურისტული სანახაობების ინდუსტრია, თემატური პარკები და ატრაქცები;
32.რეკრეაცია;
33 ტურიზმი და მშვიდობა;
34.ტურიზმის სოცოალური ზეგავლენა
35. ტურიზმში კვლევის მნიშვნელობა და მიმართულებები, კვლევის ტიპები;
36. ეკონომიკური მულტიპლიკატორები;
37.ტურისტული დანიშნულების ადგილების მენეჯმენტის საკვანძო პარამეტრები;
38.ტურისტული პროდუქტის დაგეგმვა და განვითარება.

ბილეთი შედგება 4 საკითხისგან. თითოეული საკითხის მაქსიმალური შეფასების ქულაა 25. შეფასებისას გათვალისწინებული იქნება საკითხის გადმოცემის სიზუსტე (10 ქულა), ლოგიკური

აზროვნების უნარი (10 ქულა) და გადმოცემის სტილი (5 ქულა), შეფასების მაქსიმალური ქულაა 100. გამოცდა ითვლება ჩაბარებულად თუ აბიუტურიენტმა მიიღო 51 და მეტი ქულა.

ლიტერატურა:

გოლდნერი ჩარლზ რ.,რითჩი ჯ.რ.ტურიზმი (საფუძვლები, პრაქტიკა, თეორია). ქართულენოვანი გამოცემა. ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. საელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა 2013წ;

დანართი 2

სილაბუსები